# გ ა ნ მ ა რ ტ ე ბ ი თ ი  ბ ა რ ა თ ი

## 1. შესავალი

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ გვიმბალაურში, დ. ორაგვისპირზე საფეხმავლო ხიდის მოწყობისა და მისასვლელი გზის მშენებლობისათვის საჭირო საპროექტო დოკუმენტაცია შედგენილია შ.პ.ს. "ვეგა+"-ს მიერ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტთან 2021 წლის 05 მაისს გაფორმებული სახელმწიფო შესყიდვის შესახებ №105 ხელშეკრულების საფუძველზე. შ.პ.ს. "ვეგა+"-ს მიერ ჩატარდა სათანადო საკვლევაძიებო ტოპო-გეოდეზიური, საინჟინრო-გეოლოგიური, ჰიდროლოგიური, ვიზუალური დათვალიერებისა და აზომვითი სამუშაოები.

სამუშაოები ჩატარებულია მოქმედი ნორმატიული დოკუმენტების შესაბამისად «СНиП 2.05.03-84. Мосты и трубы. Нормы проектирования», «СНиП III-43-75. Мосты и трубы. Правила производства и приемки работ» და სხვა.

პროექტის მიზანია აღნიშნულ მონაკვეთზე საავტომობილო ხიდის მშენებლობა.

## 2. არსებული სიტუაციის დახასიათება

აღნიშნულ მონაკვეთზე დღეისათვის გადაადგილება შეზღუდულია, ვინაიდან არსებული ლითონის ხიდი ამორტიზირებულია და ექვემდებარება დემონტაჟს. არსებული სიტუაციდან გამომდინარე აუცილებელია ახალი საფეხმავლო ხიდის მშენებლობა.

## 3. რაიონის ბუნებრივი პირობები

რაიონის კლიმატი მშრალი, ზომიერად გრილი, კლიმატური მონაცემები აღებულია რაიონის კლიმატური პირობების შესახებ **ᲡᲜ 01.05-08 ("სამშენებლო კლიმატოლოგია")**. კლიმატური ქვერაიონი IIIᲑ.

1. ჰაერის აბსოლუტური მინიმალური ტემპერატურა -20
2. ჰაერის აბსოლუტური მაქსიმალური ტემპერატურა +39
3. ჰაერის საშუალო წლიური ტემპერატურა +13,8
4. ჰაერის შეფარდებითი ტენიანობა (საშუალო წლის განმავლობაში 78%
5. ნალექების რაოდენობა წელიწადში 1980 მმ
6. ნალექების რაოდენობა დღე-ღამეში 250 მმ
7. ირიბი წვიმების რაოდენობა წელიწადში 824 მმ
8. თოვლის საფარის წონა 0.5 კპა
9. თოვლის საფარის დღეთა რიცხვი 14

10. ქარის მახასიათებლები, ქარის უდიდესი სიჩქარე შესაძლებელი

| | |
|---|---|
| წელიწადში ერთხელ | 27 მ/წმ |
| 5 წელიწადში ერთხელ | 32 მ/წმ |
| 10 წელიწადში ერთხელ | 34 მ/წმ |
| 15 წელიწადში ერთხელ | 35 მ/წმ |
| 20 წელიწადში ერთხელ | 36 მ/წმ |

11. ქარის წნევის ნორმატიული მნიშვნელობები:

| | |
|---|---|
| 5 წელიწადში ერთხელ | 0.6 კპა |
| 15 წელიწადში ერთხელ | 0.73 კპა |

12. გრუნტების სეზონური გაყინვის ნორმატიული სიღრმე ყველა სახის გრუნტებისთვის 0 სმ

გეოგრაფიულად საკვლევი ტერიტორია მდებარეობს მდებარეობს ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში. მეტეოსადგურის მდებარეობა (უახლოესი მეტეოსადგური „ლანჩხუთი“) სიმაღლე ზღვის დონიდან 29მ.

უბნის სეისმურობად **Შნ 01.01-09 „სეისმომედეგი მშენებლობა“**-ს მიხედვით მიღებულ იქნას **(სკალა MSK64)** 7 ბალი. სეისმურობის უგანზომილებო კოეფიციენტი A=0.11.

სიმაღლეთა პირობითი ნიშნულები სამშენებლო მოედანზე და მის მიმდებარედ იცვლებიან 20.0-23.5 მ-ის ფარგლებში.

## 4. საპროექტო გადაწყვეტილება

საპროექტო ნაგებობა წარმოადგენს ერთ მალიან, N45B1 ფოლადის 2 კოჭით მოწყობილი 24 მეტრიანი მალით, მეტალის კონსტრუქციის ხიდს, მეტალის სავალი ნაწილით.

ხიდის ბურჯები მცირე ჩაღრმავების, მონოლითური რ/ბეტონის.

გარემოს დაცვისა და უსაფრთხოების ტექნიკის უზრუნველყოფის პირობები მოცემულია მშენებლობის ორგანიზაციის პროექტის შესაბამის თავებში.

შეადგინა: ლ. იმედაძე